



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87213518

თარიღი:17/12/2021

დადგენილება №22

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების ოდენობები“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 22/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.162.016421).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის პირთა რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	4510 ლარი
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3410 ლარი
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	2970 ლარი
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2420 ლარი
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2200 ლარი
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	1760 ლარი